№ 215
ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 215
ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 1898 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კნიაჟნა ელისაბედ ალექსანდრეს ასული და თავადნი დავით და ვასილ ალექსანდრეს ძენი თარხან მოურავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა 2 ოქტომბერს საყვარელის ძმის ახალქალაქის მაზრის უფროსის

თ. გრიგოლ ალექსანდრეს ძის თარხან-მოურავისას.

მიცვალებულის გვამს გაასვენებენ საკუთარის სახლიდგან და დაკრძალავენ ს. ერთაწმინდას 10 ღვინობისთვეს. (2—150—1)

დღევანდელ ნომერთან ხელისმომწერლებს ურიგდებათ კატალოგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიისა.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^{1}/_{2}$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^{1}/_{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница ***Д-ра Навасардіана.***

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ქართული გალობის სამუდამო გუნდი

სასულიერო მთავრობის განკარგულებით ტფილისის ანჩისხატის ტაძართან არსდება ქართულ მგალობელთა სამუდამო გუნდი. აზრი ამ გუნდის დაარსებისა არის—დაცვა ძველის ქართულის სასულიერო კილოებისა და მათი გავრცელება საქართველოში. ამა მგალობელთა გუნდის შედგენა მე მაქვს მონდობილი და ამიტომ მოვიწვევ ქართულის გალობის შესწავლის მსურველთა გამოცხადდნენ ჩემთან ანჩისხატის ტაძრის ეზოში პირობების შესატყობად და საქმის განსახორციელებლად. ეკკლესიაში გალობის დაწყებისათანავე გუნდს დაენიშნება ყოველთვიური გარდაკვეთილი ჯამაგირი.

ანჩისხატის სობოროს მღვდელი პოლიევქტო კარბელაშვილი

(4—უ—1)

ახალი ამბავი

⁂ მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე 5 ოქტომბერს ხაშურიდგან ტფილისში დაბრუნდა და მეორე დღეს, ღამის მატარებლით, წაბრძანდა რკინის გზით ბაქოში, სადაც დღეს, 8 ოქტომბერს, აკურთხებს ბაქოს ახლად აგებულს ტაძარს. ამას გარდა, იმის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ბალახანაშიაც აკურთხებს ეკკლესიას და დაესწრება რკინის გზის ეკკლესიის საძირკვლის ჩაყრას. საქართველოს ექსარხოსი ტფილისში დაბრუნდება ორშაბათს, 12 ოქტომბერს.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ ჩაეწერა პირველ კავკასიის ბაღოსანთა კრების წევრად.

⁂ ყოვლად სამღვდელო გურის ეპისკოპოსი ლეონიდი ტფილისში დაბრუნდა.

⁂ კავკასიის პირველ ბაღოსანთა კრების წევრნი ხვალ დაათვალიერებენ საბოტანიკო ბაღს, იმ ადგილებს, სადაც ტყის გაშენებას აპირობენ, საუფლისწულო მამულების სარდაფს და სხვა.

⁂ შემდეგი კრება ქალაქის საბჭოს 12 ოქტომბერს ექმნება.

⁂ ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა, ექიმმა გ. ნ. სტეფანოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა სამკურნალო-სასანიტარო საბჭოს დადგენილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა ხმარებასაც საბჭო საჭიროდ სთვლის ქალაქში ყვავილის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭო იმ აზრისაა, რომ ყვავილი შეიძლება საშინელ მოარულად გარდაიქცეს, რადგან შუა სექტემბრიდგან დღე ყოველ ჰმატულობს და ძლიერდება. ამიტომ აწ მყოფ ექიმებისა და ფერშლების დასახმარებლად უნდა დაქირავებულ იქმნას კიდევ ორი ფერშალი ორ-ორის თვით; შემდეგ დასი უნდა იქმნას შედგენილი, ამ დასმა მოიაროს სახლები და აღნიშნოს ისინი, რომელთაც ყვავილი არა აქვთ აცრილი, ამათაც აუცრას და იმათაც, რომელთაც ამ ათის წლის წინად აუცრიათ; ყვავილივე აუცრას ქალაქის 12 სასწავლებლისა, სახელოსნო სასწავლებლისა და საპროფესიონალო სახელოსნოს მოსწავლეებს; ამას გარდა, დაევალოს ქალაქის გამგეობის ექიმებს, რომ მეტად ადევნონ თვალყური ქარხნებსა, სახელოსნოებსა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ; გაზეთებში გამოცხადდეს, რომ მსურველთ ყვავილი უსასყიდლოდ ექმნებათ აცრილი ქალაქის სამკურნალოს ყველა განყოფილებაში (მთავარ-სამკურნალოსა, ხარფუხისა და ავლაბრის განყოფილებაში) და აგრეთვე ბეითალ მელქუმოვთან. დაიბეჭდოს ცალკე ფურცლები და ხალხს ეუწყოს, რომ ყვავილის გაძლიერების გამო ყოვლად საჭიროა აცრა და სიცივეში აცრა მაწყინარი სრულიად არ არის.

ეს დადგენილება ქალაქის გამგეობამ გუშინ განიხილა და დაადგინა, რომ არ იქმნას შეწყნარებული დადგენილება ორის ფერშლის მოწვევის შესახებ, მიეწეროს ქალაქის გამგეობის ექიმებს, რომ მხნედ იმოქმედონ აცრის საქმეში, გამოაცხადონ, სად და რა პირობით აეცრება ხალხს ყვავილი, ხოლო ხელ-მეორედ ყვავილი-კი ისე აეცრათ ყველას, როგორც სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორი სთვლის საჭიროდ. გამგეობამ ერთის ხმის უმეტესობით შეიწყნარა ეს დადგენილება. გამგეობის ორი წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი და ა. ა. ივანენკო იმ აზრისა იყვნენ, რომ სულ უნდა მავიღოთ სასანიტარო საბჭოს წინადადებაო, ხოლო გამგ. წევრმა ე. ე. ხოსროევმა განაცხადა, რომ გაზეთებში გამოქვეყნება საჭირო არ არისო.

⁂ კვირას, 11 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება იმ კომისიის წევრთა საზოგადო კრება, რომელიც სახალხო კითხვებს ჰმართავს ტფილისში.

⁂ ქალაქის გამგეობა შეუდგა საცდელად ცხენის რკინის გზის გამართვას ნავთლუღში, საყასბოს მახ-

ფელეტონი

რა ეკონომიურს მდგომარეობაში ვართ?

„ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა“, ფ. მახარაძისა. „კვალი“: 1, 2 და 4 №№ 1898 წ.

(შემდეგი *)

ახლა შევუდგეთ იმ ფაქტების განხილვას, რომელიც შეეხება წარმოებას პირდაპირ. ბ-ნ ფ. მახარაძის მოყვანილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ წელიწადში ამ უკანასკნელ დროს მზადდება ამიერ-კავკასიის ფაბრიკებსა და ქარხნებში **) (რომელთა უმეტესობაც წარმოადგენს უბრალო სახელოსნოებსა და არა ფაბრიკებს), დაახლოებით 60.765.078 მანეთის საღირალი ნაწარმოები. მაგრამ ეს 60,765.078 ცრუ რიცხვია. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში ითვლება 28.078,089 მანეთის ნაწარმოები, ბაქოსაში 23.199,597 მანეთისა, ტფილისისაში-კი 4.500.000 მანეთისა. ბაქო რომ მაღლა იდგეს ტფილისზედ ნავთის წყალობით, საკვირველი არ არის, მაგრამ რას მივაწეროთ, რომ ტფილისის გუბერნია ასე ჩამორჩენია ქუთაისისას? როდესაც ქუთაისის გუბერნიის მრეწველობას შეეხებიან ჩვენი მარქსისტები, მაშინ უმთავრესად ქვა-ნახშირის წარმოება აკერიათ ენაზედ, სხვა ვერა უნახავთ-რა ღირს-შესანიშნავი. მაგრამ, სამაგიეროდ, ცოტაოდენი ფაბრიკები ტფილისშიაც გვაქვს. სამწუხაროდ, მე ხელთ არა მაქვს ის სტატისტიკური მასალა, რომლითაც სარგებლობდა ბ-ნი ფ. მახარაძე, მაგრამ ეჭვი მებადება იმ რიცხვის გამო, რომელიც ქუთაისის გუბერნიას შეეხება. ჩვენის აზრით ამ რიცხვში ბათუმის წარმოებაც უნდა შედიოდეს და მაშინ, რასაკვირველია, ადვილად ასახსნელი იქნება ეს მოვლენა. თუ ჩვენი აზრი მართალია, ნავთის ფასი ორჯერ ითვლება, ჯერ ბაქოში და მერე ბათუმში. ჩვენ ძლიერ მოხარული ვიქნებით, თუ ჩვენი ეჭვი არ გამართლდა: ჩვენი სიმდიდრე ჩვენც გაგვეხარდება. მხოლოდ არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ბ-ნ ფ. მახარაძეს, რომ უფრო გარკვევით არ გვეუბნება სად და სადა მზადდება ის 28.078,089 მან. ნაწარმოები ქუთაისის გუბერნიაში.

ესეც რომ არ იყოს, ხსენებული 60.765,078 მან. მაინც ნამდვილი რიცხვი არ იქნება. საქმე ის არის, რომ ერთის ქარხნის, ან სახელოსნოს ნაწარმოები მეორე ქარხანაში ან სახელოსნოში მასალად შედის. ამიტომ ამ მასალის ფასი ორჯელ ითვლება, ჯერ იქ, სადაც მზადდება და მერე იქ, სადაც მასალად ჰხმარობენ. ხშირად ერთის რომელისამე სავაჭროს ფასი რამდენჯერმე ითვლება. მაგალითად, ძაფის ფასი ითვლება საძაფე ფაბრიკაში, შემდეგ ამ ძაფისავე ფასი ითვლება შემდეგს ფაბრიკაში, სადაც იგი გადადის, ესე იგი საქსოვ ფაბრიკაში, მერე იმავე ძაფის ფასი ითვლება თერძის სახელოსნოში, სადაც ძაფის ფასი ნაქსოვს გაჰყვება და მებრვე. ამგვარად, რომ გამოვიანგარიშოთ, რამდენის მანეთის საღირალი მზადდება თითო ფაბრიკასა და სახელოსნოში და შემდეგ ამ საღირალთა რაოდენობა ჩავთვალოთ შეერთებით, მიღებული რიცხვი ძლიერ დაშორებული იქნება სინამდვილეს, ნამდვილს სიმდიდრეს, ნამდვილს რაოდენობას ღირებულებისას ვერ წარმოგვიდგენს. სინამდვილეს შეგვატყობინებს მხოლოდ ყველა ქარხნისა და სახელოსნოის წმინდა მოგებათა რაოდენობა, ისიც ყოველთვის არა, და აგრეთვე რაოდენობა მუშათა, თუმცა არც ეს უკანასკნელი რაოდენობაა ერთად-ერთი მაჩვენებელი სიმდიდრისა.

რუსეთსა და ჩვენში პროტექციონიზმის, მფარველობითის პოლიტიკის გამო სავაჭრო ძვირია და მოგება ყოველ ას მანეთზე შედარებით ბევრად მეტი, ვიდრე ევროპაში. თუ ევროპიელნი მაინც უფრო მდიდრები არიან, იმიტომ, რომ იმათ დიდი კაპიტალები აქვთ: ერთ მილიონზე 5°/₀-ი მეტს შეადგენს, ვიდრე 1,000 მანეთზე 20°/₀. ამიტომ, თუ რუსეთის კაპიტალისტს წელიწადში, მაგალითად, ათასი მანეთი რჩება წმინდა მოგება, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მას იმდენივე კაპიტალი აქვს, რამდენიც ევროპიელს, რომლის წმინდა მოგებაც იმავე ათასს მანეთს შეადგენს. ამიტომ, წმინდა მოგებამ რუსეთის კაპიტალისტისამ რომ დაახლოვებითი წარმოდგენა მოგვცეს მისის კაპიტალის რაოდენობისა, ჩვენ უნდა გამოვაკლოთ მის (რუსეთის კაპიტალისტის) წმინდა მოგებას ის ზედ-მეტი მოგება, რომელიც გამოწვეულია ხელოვნურად, მფარველობითის პოლიტიკის წყალობით.

რაც შეეხება მუშებს, მათი სიმრავლე არა კმარა კიდევ სინამდვილის დასანახავად: მართალია, რაც უფრო განვითარებულია მრეწველობა, იმდენად მეტია საფაბრიკო მუშა; ევროპაში, მაგალითად, საფაბრიკო მუშა მეტია, ვიდრე სამიწად-მოქმედო. მაგრამ, სხვა გარემოებანი თუ ერთგვარია, ორ ფაბრიკაში, სადაც მუშათა რიცხვი ერთი და იგივეა, უპირატესობა ეკუთვნის იმას, რომელიც უკეთ არის მოწყობილი ტეხნიკურის მხრივ.

ამას გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მუშის მოთხოვნილებასა და განვითარებას. რაც მეტია მუშის მოთხოვნილება, მაშასადამე მისი სამუშაო ქირა და მისი გონებრივი განვითარება, მით მეტია მისი სოციალური ცნობიერება, მით მეტია სოციალური განვითარება ქვეყნისა. ბ-ნი ფ. მახარაძე გვპირდება ჩვენის მუშების ყოფა-ცხოვრების გამოკვლევას. მაშინ, დარწმუნებულნი ვართ, იგიც დარწმუნდება, რომ სოციალურის მხრივ შორს არ წავსულ-

---

*) იხ. „ივერია“, № 213.

**) ამ რიცხვში ნავთის წარმოებაც ურევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობლად. ეს გზა ქალაქის გამგეობა ახლად ნაყიდ ცხენების გამოსაცდელად და გასაწრთნელად უნდა. გუშინ-წინ იქ ახლად გაკეთებული ვაგონები გაჰგზავნეს.

⁂ დღეს, 8 ოქტომბერს, გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულო განიხილავს: ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილებას ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ და ქალაქის თვით-მართველობის საჩივარს ამა საკრებულოს იმ დადგენილებაზედ, რომ დამატებითი ჯამაგირი მიეცეთ პოლიციის ჯარის-კაცთ ქალაქის შეძლებიდგანაო.

⁂ ტფილისის გუბერნიის გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ლაპარაკია აღძრული იმისს შესახებ, რომ გორში მტკვარზედ ბორანი იქმნას გამართული იმ დრომდე, ვიდრე გორის რკინის ხიდს შეაკეთებდნენ. ბორნის გამართვას, როგორც გამოანგარიშებულია, 1000 მანეთი დასჭირდება.

⁂ 6 ოქტომბერს რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება მოხდა. კრებამ აარჩია საექსპერტო კომისია. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გეევსკი, ხოლო საქმის მწარმოებლად ვ. ი. ლისნევსკი.

⁂ როგორც გვითხრეს ამ ერთს კვირაში დაარსდება საეკკლესიო-სამრევლო სკოლა ტფილისის ანჩისხატის ტაძრის ეზოში. ყმაწვილები უკვე მიდიან თურმე და ეწერებიან სიაში. ამა სკოლის მასწავლებლად დაუნიშნავთ საეპარქიო დედათა სასწავლებელში ნასწავლი ქალი მ. ბარნაბაშვილი, რომელიც იქვე ანჩისხატის ეზოში სცხოვრობს.

⁂ 13 სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოს დროებით სესსია განიხილავს სოხუმში საქმეს სოხუმის ოლქის კოდორის ნაწილის უფროსად ნამყოფის შტაბ-კაპიტანის ჩეჩელევისას, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა აზნაურს ფარნა დავითაიას და აძვიბჯინის სოფლის მამასახლისს კვეცინიასა.

⁂ საბჭომ იმ კომისიამ, რომელსაც ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა და წარმოება აქვს მინდობილი, მიჰმართა უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ-ნ როზის და სთხოვა აცნობეთ ამ გზაზედ მოსამსახურეთ, ვისაც ჰსურს სამსახური განაგრძოს ქალაქის მიერ ამ გზის გამოსყიდვის შემდეგაც, რომ ამის განცხადება შეიტანონ გამგეობაშიო.

⁂ ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრების საბჭოს მიერ გამოცემულ წიგნაკში „ცნობები ნავთის წარმოების შესახებ 1898 წლის აგვისტოს განმავლობაში“ ზოგიერთი საყურადღებო ცნობებია მოყვანილი. აგვისტოს განმავლობაში ამოუღიათ სულ 36,827, 241 ფუთი ნავთი. ამიერ-კავკასიის გზით და კასპიის ზღვით გაუტანიათ ნავთი 53,068 ფუთი. ამა წლის პირველ იანვრიდგან პირველ სექტემბრამდე ამოუღიათ 320,279,448 ფუთი ნავთი; გაუტანიათ ბაქოდგან 298,659 ფუთი.

⁂ 6 ოქტომბერს ბაღოსანთა კრების სხდომაზედ არჩეულ იქმნენ სექციების თავმჯდომარენი და მდივნები: ბაღოსნობის სექციისა თავმჯდ.—თავ. ვ. გ. მაჩაბელი, ხილეულობისა—ვ. ნ. გეევსკი, მეღვინეობის და მევენახეობისა — გოგოლ-იანოვსკი, და მეაბრეშუმეობისა—ნ. ნ. შავროვი.

⁂ ამ ბოლოს დროს კავკასიის მთავარ-მართებელმა დიდი ყურადღება მიაქცია ტფილისის ზოგიერთ მაზრებში გავრცელებულს ავაზაკობას. მან ბრძანება გასცა, რომ მაზრის ადმინისტრაციებმა ყოველი ღონე იხმარონ ამ ავაზაკობის მოსასპობად. მაგრამ რადგანაც მიღებულის ცნობებიდგან აღმოჩნდა, რომ პოლიციელნი ზოგჯერ არა შესაფერ განკარგულებას ახდენენ, მთავარ მართებელმა პოლიციის მოხელეთა მოქმედების შესამოწმებლად საჭიროდ სცნო გაჰგზავნოს ბორჩალოს მაზრაში საბჭოს წევრი პრიბილი. პრიბილმა ადგილობრივ უნდა გამოიკვლიოს ის მიზეზები და გარემოებანი, რომელნიც ხელს უწყობენ ავაზაკობის გაძლიერებას. ამასთან პრიბილს მინდობილი აქვს მოახდინოს სამაზრო და სასოფლო გამგეობათა რევიზია.

⁂ ქ. ტფილისის მეორე ნაწილის ბოქაულის თანაშემწე თავ. ნაკაშიძე დროებით გაგზავნილ იქმნა ბორჩალოს მაზრში.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ამ დღეებში ქალაქის გამგეობას კრება ექმნება სახლის პატრონთა ხარჯით ქუჩების დასუფთავების საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად. აზრადა აქვთ ქუჩის დასუფთავების ნიხრი დააწესონ. გამგეობა ერთხელვე დაწესებულ ფასს გამოართმევს სახლის პატრონებს და თვით განაგებს ქუჩების დასუფთავების საქმეს.

⁂ „ახ. მიმ.“ სწერენ, რომ წელს ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში კარგის ღვინის მოსავლის იმედი აქვთო. პურისა და ღომის მოსავალი საშუალოა. სიმინდი ბევრგან წახდა ქუთაისის მაზრაშიო. რაჭის მაზრაშიაც, იმავე გაზეთის სიტყვით, ღვინის კარგს მოსავალს მოელოდებიან. რაჭაში სიმინდი ოდნავ დაშავდა სიცხეებისაგანაო.

⁂ „ახ. მიმ.“-ას დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: „ქვა-ნახშირზედ დადებული ½ კაპ. გადასახადისაგან, სავალდებულო ხარჯის გამოკლებით, ამა წლის პირველ იანვრისათვის შესდგა 70 ათასი მანეთი. ეს ფული გარდაეცემა შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს“.

⁂ **ჯავახეთი.** მოკლე ხანში ახალქალაქს თავს ანებებს ბ-ნი ილია ალხაზიშვილი, რომელსაც აქ აფთიაქი ჰქონდა. ეს ამბავი ძლიერ აღონებს ახალქალაქის მკვიდრთ, ეროვნების განურჩევლად, და მეტადრე ქართველობას. ეს საკვირველიც არ არის, რადგან ბ-ნმა ალხაზიშვილმა თავისის პატიოსნებითა და საზოგადოებისათვის გულ-შემატკივრობით დიდი სიყვარული და პატივის ცემა დაიმსახურა ხალხისა. ჯავახელ ქართველობისათვის მაინც ნამდვილი მამა იყო იგი. მისის მხნეობითა და დაუღალავის მოქმედებით ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა აქ. ყველაფერზედ უფრო მოსაწონი ბ-ნ ალხაზიშვილის გულ კეთილობა და ყოველ კეთილ საქმის ღრმა სიყვარული იყო. მისის თაოსნობით დაარსდა სოფ. ბარალეთში სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ალხაზიშვილის ადგილას მოდის ბ-ნი იოსებ ხოჯავანიშვილი.

წელს ჯავახეთში კარგი მოსავალი იყო პურისა, მაგრამ ფასები ისევ დიდია. ამ უკანასკნელ კვირებში წვიმა და თოვლ-ჭყაპი მოდის აქ; მთის წვეროები-კი თეთრად შეიმოსა; სიცივეებიც თან და თან ჰმატულობს, რაიცა ზამთრის მოახლოვების ნიშანია.

⁂ გორის მაზრის, სოფ. ნადარბაზევში ადგილობრივ გლეხის გიორგი გურგენიშვილის საბძელს ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს. დაიწვა ბზე და 15 ურემი თივა.

⁂ 5 ოქტომბერს გორის მცხოვრებელმა ვასილ ყიფიანს ფურგუნში შებმული ცხენები წაუყვანია მტკვარზედ მნაცაკანის ხიდთან წყლის დასალევად. მაგრამ როდესაც შიგ შესულა, ცხენები ღრმა ადგილას ჩავარდნილან და ფურგუნიან-კაციანათ წყალს წაუღია. თვით ყიფიანი თამამშვების წისქვილთან ერთმა მუშამ ავაქ საკოვმა გადაარჩინა, ხოლო ფურგუნი და ცხენები დაიღუპნენ.

ორიოდე სიტყვა ქართულ საეკკლესიო გალობის შესახებ.

(დასასრული *)

მართალია კორესპონდენტები გვარწმუნებენ, განსაკუთრებით ზაფხულობით,—რომ აქ ხუთს დღეში გალობა ისწავლეს, იქ ერთს კვირაში იქამდის მცოდინარენი გახდნენ, რომ სხვისი სწავლებაც შეუძლიანთო.ამასაც არ აჯერებენ, მოწმობა მიიღეს ლოტბარობისაო, ყველა ამისთანა ცნობა გულ-უბრყვილო მკითხველს ასე ესმის, რომ გალობის უცოდინარნი შეუყრიათ და ხუთს დღეზედ, ან ერთ კვირაზედ მთელის წირვისა და სხვა გალობა უსწავლებიათო. ნამდვილის წყაროების გამოკვლევას თუ შევუდგებით, გამოვა, რომ ვის შესახებაც მემატიანე სწერს, „გალობა ისწავლესო“, იმათ გალობა სცოდნიათ, ხოლო აქა-იქ გასწორებულან,და ვისაც გალობა არა სცოდნია, ისინი ისეთივე უვიცნი დაბრუნებულან, ზოგიერთებს გარდა. ასეც მომხდარა, რომ ექვსი კვირა გურული გამშვენებული გალობა უსწავლიათ, კვირაში 13 გაკვეთილი ჰქონიათ, მაგრამ ვერც ერთი საგალობელი ვერ დაუსწავლიათ. გამოცდილება კიდევ გვიჩვენებს, რომ ქუთაისში სამს თვეს ასწავლიდნენ გურულს გალობას და შედეგი „არაფერი“ იყო. იგივე ყველას და ყოველის მასწავლებლის გამოცდილება გვეუბნება, რომ ერთს სასწავლებელში, რომელშიაც გალობის მასწავლებელმა არ ასწავლა გამშვენებული გურული გალობა სიძნელისა გამო, შესცვალეს მასწავლებელი და მისი მოადგილე მთელს წელიწადს უნაყოფოდ დაშვრა, რის გამოც ისევ ძველი მასწავლებელი მიიწვიეს..

მე არც ერთის გალობის არც მოწინაამდეგე და არც მომხრე არ გახლავართ იმ სახით, რა სახითაც დღევანდლამდის გამოთქმულა ან წინაამდეგობა, ან მომხრეობა. „ეს იმერულია და ეს ქართლ-კახურია“. „არა, იმერული სჯობსო“, გაიძახიან უთუოდ ლიხთ-იმერნი. „უკაცრად, ქართლ-კახურს იმერული გალობა როგორც შეედრებაო“, გაიძახიან ლიხთ-ამერნი.

ჩემის აზრით, გალობის გავრცელება შეიძლება მარტო სასწავლებლების საშუალებით. ჩვენა გვაქვს სამის სახის სასწავლებლები, სადაც ქართულის გალობის სწავლება შეიძლება. პირველ-დაწყებითი სასწავლებლები სამინისტრო და სამრევლო, რომელთა რიცხვი მრავალია და მუდამ დღე მრავლდება, 2) ხუთი სასულიერო სასწავლე-

---

*) იხ. „ივერია“, № 214

ვართ. შეიძლება გვიპასუხონ, რომ ჩვენ ახლა გამოვდივართ ახალ სოციალურს ასპარეზზედ და საკვირველიც არ არის, რომ ჩვენი მუშა დაბლა სდგასო. მართალია, მაგრამ ჩვენც ხომ იმას ვღაღადებთ, რომ ახლა გამოვდივართ და ჯერ განვითარების დაბალ საფეხურზედ ვდგევართო. ის კოლოსსალური ზრდა-კი, რომელსაც ბ-ნი ფ. მახარაძე აღნიშნავს, ჩვენ მხოლოდ მოჩვენებად მიგვაჩნია.

განვიხილოთ ახლა თითოეულად წარმოების ის დარგები, რომლებზედაც მიგვითითა თვით ბ-ნმა ფ. მახარაძემ და რომელნიც ამტკიცებენ, მისის ფიქრით, ჩვენის წარმოების კოლოსსალურ ზრდა-განვითარებას.

ავიღოთ, მაგალითად, ნავთის წარმოება, რომელსაც პირველი ალაგი უჭირავს მთელის კავკასიის მრეწველობაში. როდესაც წარმოების რომელსამე დარგს ცალკე განვიხილავთ, მაშინ ამ დარგის განვითარების მაჩვენებლად შეგვიძლია დავსახოთ როგორც წმინდა მოგება, აგრეთვე წლიურის ნაწარმოების ღირებულება. რაც მეტია ეს წმინდა მოგება და წლიურის ნაწარმოების ღირებულება, იმდენად უფრო მაღლა სდგას ეს დარგი სხვა რომელსამე დარგზედ. ეს არის საზოგადო კანონი. მაგრამ, როდესაც რომელსამე საქონელს, სავაჭროს, სამონოპოლიო ფასი აქვს, მაშინ წმინდა მოგება და წლიურის ნაწარმოების ღირებულება აღარ არის მაჩვენებელი წარმოების განვითარებისა. შეიძლება კაპიტალისტმა ცოტა ძირისა და სამოქმედო (оборотный) კაპიტალი დაჰხარჯოს და წლიურის ნაწარმოების ფასი და წმინდა მოგება დიდი იყოს, რადგან მისი სავაჭრო, სიძვირის გამო, თავისს ღირებულებაზედ მეტად ჰფასობს. ამ გვარს მაგალითს წარმოგვიდგენს ნავთის წარმოებაც. ნავთი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფილადელფიასა და გალიციაში იმდენი, რომ ჩვენს ნავთს მეტოქეობას უწევს. ფილადელფიისა, გალიციის და ამიერ-კავკასიის ნავთი მთელს ქვეყანას დაეპატრონა. ყველამ კარგად იცის, რა ძვირად ჰფასობს ნავთი მეტადრე რუსეთის იმპერიაში. ამიტომ, რასაკვირველია, რომ ნავთის წარმოების მოგება შეუთანხმებლად მაღლა იდგეს ამ წარმოებაზედ დანახარჯულ კაპიტალზედ. ნავთის წარმოების ნამდვილ ზრდას იმითი-კი ვერ დავინახავთ ნათლად, ნავთის მწარმოებელთა წმინდა მოგება და წლიურ ნაწარმოების ფასი რომ გამოვიანგარიშოთ, არამედ იმითი, თუ გამოვიანგარიშებთ რა კაპიტალი იხარჯება ამ წარმოებისათვის. ამ საგნის შესახებ კი ბ-ნი ფ. მახარაძე არავითარ ცნობებს არ იძლევა. ამას გარდა, საინტერესოა ვიცოდეთ, ნავთის წარმოებისთვის საჭირო მანქანები და საზოგადოდ ყოველი ხელ სამწყო სად მზადდება, ჩვენში თუ სხვაგან? რა და რამდენი მზადდება ჩვენში და რა და რამდენი სხვაგან. თუ-კი მანქანები სხვაგან მზადდება და ჩვენში მხოლოდ საექსპლოატაციოდ მოდის, ჩვენთვის ამ ნაწილს დანახარჯისას იმდენი მნიშვნელობა არ ექმნება.

მეორე მაჩვენებელი წარმოების რომელისამე დარგის განვითარებისა არის მუშების რაოდენობა. მაგრამ ამ მხრივაც არაფერს გვეუბნევა ბ-ნი ფ. მახარაძე. იგი აღნიშნავს, რომ 1891 წელს ბაქოს გუბერნიაში 1,071 ქარხანა იყო და 7.675 მუშაო. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ამ მუშათა რამდენი ნაწილი ჰმუშაობდა სანავთო მრეწველობაში და რამდენი სხვა ფაბრიკებში ანუ უბრალო სახელოსნოებში.

ვიდრე ყველა ამ ცნობას არ შევკრებთ, იმ დრომდე ყოველივე ჩვენი აზრი და დასკვნა ბაქოს ნავთის წარმოების განვითარების შესახებ ადრეული იქნება.

მანგანეზისა და სიმინდის შესახებ ბ-ნი ფ. მახარაძე მოგვითხრობს, რომ მათს წარმოებაში კრიზისი არ არსებობსო, და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ის გარემოება, რომ წარმოება თანდათან დიდდებაო. მაშასადამე, ბ-ნ ფ. მახარაძის აზრით, კრიზისი არ შეიძლება იმ წარმოებაში, რომელიც თანდათან იზრდება, დიდდება. მაგრამ ამის წინაამდეგ მაგალითს წარმოგვიდგენს დღეს სახორბლეულო კრიზისი მთელს ქვეყანაზედ. ხორბლეულობა, ე. ი. პური, ქერი, შვრია, სიმინდი და სხ. თანდათან უფრო და უფრო ბევრი მოჰყავთ და გამოაქვთ საქვეყნო ბაზარზედ და სწორედ ამიტომ უჩივიან სახორბლეულო კრიზისს, რომელიც ჰლამის გაანადგუროს ევროპის მიწათ-მფლობელობა. თურმე ამ კრიზისს მხოლოდ ჩვენთვის აუვლია გარს, აუქცევია გვერდი, მხოლოდ ჩვენს მიწათ მფლობელობას ვერას აკლებს იგი! საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო! ვურჩევთ ბ-ნ მახარაძეს, ერთი ქვემო-იმერეთის და გურია-სამეგრელოს აზნაურს ან გლეხს ჰკითხოს, მაშინ უკეთესი იყო, როცა სიმინდი სამ აბაზიდგან მანეთამდე ჰფასობდა ფუთი, თუ ეხლა? აგრეთვე კარგს იზამდა ეკითხა მანგანეზის მწარმოებელთათვის, როგორც დიდთა, ისე წვრილთათვის, უწინ მეტს იგებდნენ, თუ ეხლა? ბ-ნი ფ. მახარაძე ამბობს, რომ წვრილნი მესაკუთრენი თუ გაკოტრდნენ, ეს კიდევ კრიზისს არ მოასწავებსო. მაშ რაღას მოასწავებს? ყოველი კრიზისი წვრილ მესაკუთრეს უფრო სასტიკად ჰსჯის, ვიდრე დიდს. ამას გარდა, წვრილ მესაკუთრეთა გაკოტრების დროს თუ დიდნი მაინც მდიდრდებიან, მაშინ კრიზისი საყოველთაო არ არის, მაშინ გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან მხოლოდ წვრილნი მესაკუთრეები და მათი მუშები. მაგრამ ბ-ნ ფ. მახარაძეს ერთი საბუთიც არ მოჰყავს იმისს დასამტკიცებლად, რომ ჩვენის მანგანეზის წარმოებაში ასეთი ცალკერძო კრიზისი არსებობდეს.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი, რომლებშიაც 1,500 მოსწავლეა ყოველ წელიწადსა და ეს რიცხვიც თან და თან ჰმატულობს, 3) ორი სასულიერო სემინარია. ამ სასწავლებლებში მოსწავლეთაგან 90% 8—14 წლისას არ აღემატება, დანარჩენნი 14—22 წლისანი არიან. სწავლების დრო ორ ნაირია. ერთი სამ წლიანი, ერთიც ექვს წლიანი.

როდესაც გალობის გავრცელებისა და სწავლების შესახებ ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ, უნდა სახეში მივიღოთ გალობის სწავლის მსურველთა ის მხარე, რომელიც ნიადაგად უნდა გაუხდეს სწავლებას და რომელზედაც უნდა აღმოცენდეს თვით გალობის ცოდნა. ჩვენა ვართ ქართველები და ყველა ჩვენი გალობა ქართულია, ხოლო სასწავლებლად—სხვადა-სხვა სიძნელისა. რომელი გალობაც ძნელია, მისი შესწავლა მეტს დროს თხოულობს. სასწავლებლებში ქართულის გალობისათვის უწყებული დრო არის დანიშნული. ამისათვის ჩვენ მოვალენი ვართ შევუფარდოთ გალობის შესწავლის სიძნელე თვით შესასწავლად დანიშნულს დროს. მაშასადამე, გალობის სახელმძღვანელოები უნდა შესდგეს წლოვანებისა და სასწავლო დროს მიხედვით. ამ სახელმძღვანელოებისათვის უნდა ამორჩეულ იქმნას საგალობლები ყველა გალობიდგან იმ უცვალებელი და საპატიო კანონის მიხედვით, რომელიც ამბობს, ადვილიდგან თანდათანობით ძნელზედ გადადითო. რასაკვირველია, ამასთან ერთად უნდა დაცული იყოს მუსიკაც და ყველა ის, რაც ამ ხელოვნებას შეეხება.

ოთხ ხმაზედ გალობას, ცხადია, უფრო დიდი მომავალი აქვს. უბრალოდ ებრძვიან ამ ოთხ ხმაზედ გალობის გაწყესრიგებას. თუ განშვენებული გურული გალობა საპატიოა, თუ მისი განშვენება ქვეყნის დაქცევას არ მოასწავებდა, ოთხ ხმაზედ დაწერილი იგივე განშვენება არ არის? უნდა გამოვტყდეთ, რომ გურულის გალობის განშვენება დიდი ხანი არ არის, რაც მოხდა. ბევრნი დამემოწმებიან, რომ იმათს დროს იყო ნაგალობევი ეს გალობა პირველად გელათში და რომ მისის მოსმენის შემდეგ მრავალნი გელათის კრებულთაგანნი ქრისტეს მმოსავნი კეთილმორწმუნენი უკმაყოფილონი დარჩნენ გალობის კრიმანჭულობისა, ისევ უბრალო გურულ გალობას ამჯობინებდნენ. ამავე საგნის შესახებ დიდად საყურადღებოა აზრი ნეტარ-ხსენებულის იმერეთის მღვდელმთავრის გაბრიელისა, რომელმაც აღუკრძალა ქუთაისის ტაძარში განშვენებული გურული გალობა ტაძრის ლოტბარსა და უბრძანა, რომ უბრალო გურული გალობა და ქართლ-კახეთის, ანუ კარბელოვის გალობა ყოფილიყო.

აქედგან მკითხველი დაინახავს, რომ დრო არის გალობის საქმე გამოირკვეს. მე შეუცდომლობაზედ თავს არა ვდებ და დიდად საჭიროდ მიმაჩნია, რომ გალობის მცოდნეთ ამოიღონ ხმა, გამოარკვიონ და გარდასწყვიტონ: 1) სასწავლებლები საუკეთესო სარბიელია თუ არა გალობის გავრცელებისათვის? 2) საჭიროა თუ არა გალობის სახელმძღვანელოები შესდგეს აწ არსებულ პროგრამათა შესაფერად? 3) რომელი გალობის შეტანა უფრო ხელ-საყრელია და შესაძლებელი ყოველ მხრივ ამ სახელმძღვანელოებში?

ნადიკვრელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთის „ნოვ. ობოზრ."-ს თანამშრომელი ი—ჩი სწერს:

ჩვენში დანაშაულად არავის ეთვლება, რომ მოსამსახურეს ან მუშას ქურდობა დააბრალოს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ უდანაშაულო კაცს ოქმს შეუდგენენ და სამართალში მისცემენ. და თუ სასამართლომ გაამართლა კიდეც, ცილის მწამებელს ფიქრადაც არ მოუვა დააკმაყოფილოს უდანაშაულო კაცი. მართალია, სასამართლოს მიერ გამართლება აკმაყოფილებს უდანაშაულო კაცს, მაგრამ უბრალოდ დევნილი კაცი ხშირად უსამსახუროდა ჰრჩება და დიდს გაჭირვებაში ვარდება, ხშირად ლუკმა პურიც ეკარგება.

აი, მაგალითად, რკინის გზის ბათუმის სადგურის მოსამსახურე კალაძე შემდეგის მიზეზის გამო დარჩა უსამსახუროდ.

რკინის გზას ერთს მოხელეს ჰგონებია (ეს სასამართლოში დამტკიცდა), რომ კალაძე ნავთს იპარავს. იმ წამსვე დეპეშა აფრინა ტფილისში ბ. ნ კ—სთან. კ—მ საქმე არ გამოიძია და დაუყოვნებლივ დაითხოვა ადგილიდგან, ე. ი. ვიდრე სასამართლო იმის საქმეს გაარჩევდა, დასაჯა კიდეც. შეადგინეს ოქმი და კალაძე სამართალში მისცეს. მოსამართლემ გადასწყვიტა, რომ კალაძე დამნაშავე არ არისო და გაამართლა. კალაძემ გამოართვა მოსამართლეს განაჩენი, მივიდა კ—სთან და სთხოვა, კვლავ მამიღეთ სამსახურშიო. რა თქმა უნდა, რომ რაკი სასამართლომ კალაძე გაამართლა, სრული უფლება ჰქონდა ისევ თავისი ადგილი ეთხოვნა. „ვიცი, როგორც გაგამართლესო, უთხრა უფროსმა, აბაზად დაქრთამე მოწმები და გაგამართლებდნენ, მაშ რა იქნებოდაო".

ამ გვარად მოსამსახურე კალაძე, მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა კაცია და პატარა ადგილი უჭირავს, ორჯერ სრულიად უმიზეზოდ შეურაცხყოფილ იქმნა; ქურდიც დაარქვეს, ცილიც დასწამეს, მოწმები დაქრთამეო და სამსახურიდგანაც დაითხოვეს. სამი სასჯელი უდანაშაულობისათვის!

რუსეთი

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობას აზრადა აქვს დააარსოს ვლადივოსტოკში აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტი. პროექტი ამ ინსტიტუტისა, გაზ. „Торгово-Промышленная Газета"-ს სიტყვით, უკვე შემუშავებულია და მალე იმის განხორციელებასაც შეუდგებიან. ამ ინსტიტუტში სწავლის ვადა ოთხი წელიწადი იქმნება. ინსტიტუტთან პანსიონსაც გამართავენ. მასწავლებლებად მოწვეულ იქმნებიან ჩინელები, იაპონელები, კორეელები და მონგოლები. ზაფხულობით სტუდენტებს გაჰგზავნიან ჩინეთსა, კორეასა და იაპონიაში, სადაც ისინი პრაქტიკულად შეისწავლიან ენებს, გაიცნობენ ხალხს, იმათ ზნე-ხასიათს, ჩვეულებას. ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებულთ მისცემენ ადგილებს ჩინეთის საზღვარზედ მდებარე ოლქებისა და გუბერნიების საადმინისტრაციო და სავაჭრო დაწესებულებებში. ინსტიტუტში მიიღებენ, გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულთ გარდა, რეალურ სასწავლებლებსა, სასულიერო სემინარიებსა, კადეტთა კორპუსსა, საკომერციო სასწავლებელსა და სხვა საშუალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულთ.

— 2 ოქტომბერს პეტერბურგში სოფლის მეურნეთ კრება ჰქონდათ. კრებას დაუდგენია თავისის ხარჯით გამოსცეს ხალხისათვის ადვილ გასაგები წიგნაკები სასოფლო-მეურნეობის შინაარსისა.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს მეთევზეობის განსაკუთრებული განყოფილება. ამ განყოფილებამ უნდა განაგოს ყველა ის საქმე, რაც რუსეთის იმპერიის მეთევზეობას შეეხება.

გაზ. „С. От." სიტყვით ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ იმ დიდ ქალაქებში, სადაც ნავთ-სადგურებია გამართული, დაარსებულ იქმნას ექვს კლასიანი სკოლები. ამ სკოლებში ასწავლიან გემების აგების და მომზადების საქმეს.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რეალურ სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულთ ნება მიეცეთ უეგზამენოთ უნივერსიტეტში შესვლისა.

— იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელობის სამზრუნველომ ამას წინად მოსთხოვა რუსეთის იმპერიის ყველა გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს ცნობები ყრუ-მუნჯთა რაოდენობის და მათის მდგომარეობის შესახებ. როგორც ამ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს მთელს იმპერიაში ყრუ-მუნჯთა რიცხვი 200 ათას კაცს აღემატება.

უცხოეთი

გერმანია. იმპერატორ ვილჰელმის პალესტინაში მოგზაურობამ დიდი განხეთქილობა ჩამოაგდო გერმანიის მთავრობასა და რომის პაპის ლევ XIII შორის. საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთ ქვეყნებში მყოფ რომის კათოლიკეთა მფარველად დღემდე საფრანგეთი ითვლებოდა. იგი ამ უფლებას არ ჰკარგავდა არც მეფეების დროს და არც რესპუბლიკისა. როგორც ვიცით, მესამე რესპუბლიკამ ბრძოლა გამოუცხადა სამღვდელოებას, მაგრამ თავისი უფლება აღმოსავლეთ ქვეყნების კათოლიკეთა შესახებ მაინც არ გაუშვა ხელიდგან. რაღა თქმა უნდა, ეს კლერიკალებისადმი სიყვარულით არ მოსვლია მას, არამედ პოლიტიკურის მოსაზრებით.

უკანასკნელ 2—3 თვის განმავლობაში ხმა რო გავრცელდა, იმპერატორი ვილჰელმი პალესტინაში აპირებს წასვლასო, გერმანიის გაზეთებმა, როგორც მთავრობისამ, ისე დამოუკიდებლებმა, საქვეყნოდ აღიარეს, რომ ამას იქით საფრანგეთის განსაკუთრებულს უფლებას ოსმალეთში ბოლო უნდა მოეღოსო; ოსმალეთში მყოფ გერმანიის ქვეშევრდომ კათოლიკეთა მფარველობას და პატრონობას თითონ გერმანია იკისრებსო. ამის გამო პაპმა ლევ XIII წერილი გაუგზავნა რეიმსის არქიეპისკოპოზს დანჟენიეს, რომელშიდაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის განსაკუთრებული უფლება აქვს ოსმალეთის კათოლიკეთა მფარველობისო; ამ უფლებით იგი სარგებლობდა დიდის ხნის განმავლობაში და ამის შესახებ ხელშეკრულებაც არის დადებული საფრანგეთისა და ოსმალეთის მთავრობას შორისო.

პაპის ასეთი საქციელი ძლიერ ეწყინა გერმანიის მთავრობამ და ვატიკანში მყოფ თავისს ელჩს, ბარონ ფონ-ბიულოვს, ბრძანება გაუგზავნა, რომ პაპის სასახლეს თავი დაანებე და ბერლინში წამოდიო. გერმანიამ ამგვარად დიპლომატიური კავშირი შესწყვიტა ვატიკანთან.

პეტერბურგის გაზეთი „ნოვოსტი" საფუძვლიანად ამბობს, რომ პაპის გადამტერება გერმანიას ხეირს არ დააყრისო, რადგან პაპს შეუძლიან მისი შინაური და გარეული საქმეები ერთობ არევ-დარიოსო. მართლაც, გერმანიაში რაოდენიმე მილიონი კათოლიკეა, რომელთა მეთაურნი დიდს ყურადღებას აქცევენ პაპის ბრძანებას საეჭვო არ არის,—ამას იქით კათოლიკე დეპუტატები გერმანიის რეიხსტაგში წინააღმდეგობას გაუწევენ მთავრობას, რის გამოც ბევრი კანონ-პროექტი მთავრობას სასურველად არ გარდასწყდება. გარდა ამისა ბევრს კათოლიკეთა სახელმწიფოში რომის პაპს ჯერ კიდევ დიდი ზეგავლენა აქვს და ამის გამო გერმანიის მთავრობას ძლიერ გაუძნელდება იმათთან რამე კავშირის შეკვრა.

—

საფრანგეთი. ამას წინად რესპუბლიკის პრეზიდენტი ფორი ლონშანის დოღს უნდა დასწრებოდა. პატრიოტთა ლიგამ, რომელსაც დრიუმონი და როშფორი შეუერთდნენ და აგრეთვე კათოლიკეთა საზოგადოების „laborum"-ის წევრებიც, განიზრახა, რომ პრეზიდენტს გზაში დაუხვდეთ და თანაგრძნობა გამოუცხადოთ, ხოლო დრეიფუსის საქმის გადასინჯვის წინააღმდეგ ხმაურობა ასტეხოთო. თანამოაზრენი მართლაც შეიკრიბნენ ლონშანის მინდვრებში, კასკადსთან და გარდასწყვიტეს,—როცა ფორის ეტლი გამოივლის, დავიძახოთ—„გაუმარჯოს პრეზიდენტს! არ გვინდა ბრისონიო"!

ლიგის განზრახვა დროზედ გაუგია ბრისონს და ფორისათვის უცნობებია. ამის გამო ეს უკანასკნელი დოღზედ წასვლის ნაცვლად მარლში წასულა სანადიროდ. ეხლა დერულედის თანამოაზრენი ძლიერ ლანძღავენ თურმე ფორს; ამბობენ, რომ თავისს პირვანდელს გარდაწყვეტილებას მან უარჰყო და ბრისონის რჩევა დაიჯერაო.

—

შეერთებული შტატები და ინგლისი. ინგლისის ახალშენთა მინისტრს ჩემბერლენს, რომელიც ამ ჟამად ამერიკაში იმყოფება, ერთის გაზეთის თანამშრომლისათვის ინგლის-ამერიკის კავშირისა და ფილიპის კუნძულების შესახებ შემდეგი უთქვამს.

იმ თავითვე, აუწყია ჩემბერლენს, როცა ამერიკასა და ესპანიას ერთმანეთთან ომი აუტყდათ, მე ფრთხილად ის აზრი გამყავდა, რომ ამერიკისა და ინგლისის გემებს წილად აქვთ ნარგუნები ერთად იმოქმედონ ყოველ კეთილშობილურ საქმისათვისო. ამას სურს მთელ ინგლისის ერს. დიდი ბრიტანია მზად არის პირველი ნაბიჯი, ანუ უკეთ გვთქვათ, ახალი ნაბიჯი გადადგას შეერთებულ შტატების მისაგებებლად. კავშირის დადება ამერიკის სენატისაგან არის დამოკიდებულიო.

ესპანიასთან ომის შემდეგ შეერთებული შტატები, ჩემბერლენის სიტყვით, ფილიპის კუნძულებში ისეთსავე უფლებას მოიპოვებს, როგორიც ინგლისმა მოიპოვა ეგვიპტეში. ჩვენ კმაყოფილნი ვართ, უთქვამს ჩემბერლენს, ამ ქვეყანას პატრონობა გაუწიოთ, ვიდრე იქ სრული მშვიდობიანობა არ დამყარდებაო. ამას თუ დავუმატებ, რომ ვიდრე ეგვიპტეს უკეთესი გამგეობა ეყოლება, უმჯობესი იქმნება, ეს ქვეყანა ინგლისის ზეგავლენის ქვეშ დარჩეს, რათა მან თავისს ქვეშევრდომთ და ვაჭრობას მფარველობა გაუწიოს, ეგევე შეიძლება ითქვას შეერთებულ შტატების და ფილიპის კუნძულების შესახებაც. დრო დადგა შეერთებულ შტატებმა თავისის სამფლობელოს გაფართოებისათვის იზრუნოსო. თუ ჰსურს თავისს საწადელს მიაღწიოს, ჩვენთან დაკავშირების უარს არ იტყვისო. შეერთებულ შტატებისა, ინგლისისა და კანადის კავშირს ვერავინ ვერას დააკლებსო.

სასამართლოს მატიანე

უსტაბაშის მ. მესხის საქმე.

6 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მხერხავთა ამქრის უსტაბაშად ნამყოფის, რაჭის მაზრის გლეხის მიხეილ მესხისა, 40 წლისა, რომელსაც უფლების გარდამეტება და უკანონო მოქმედება ჰბრალდებოდა. როგორც ოქმიდგანა სჩანს, საქმის ვითარება ასეთია:

1897 წელს, 30 აპრილს, საგუბერნიო გამგეობამ ერთის ხელოსნის საჩივრის გამო სისხლის სამართალში მისცა მესხი, რომელსაც უფლების გარდამეტების ბრალსა სდებდა. საქმე ის არის, რომ მესხმა, 1891-დგან 1895 წლამდე ამქრის კრების უგანაჩენოდ სხვა და-სხვა წვრილმანი ხარჯი გასწია თურმე, ისეთი ხარჯი, რომელიც კანონის მიერ ნება-დართული არ არის, მაგალითებრ, სადილისათვის, (სადმრთოსი და შეგირდების დალოცვისა) დახარჯულია 700 მან., ხარჯის მომკრებთათვის მიუცია ჯილდო 54 მან. 5 კაპ. ქარგლებისაგან გარდასახადის მოკრებისათვის, 15 მანეთი მიუცია საქმისმწარმოებლისათვის. ამქრის განაჩენით-კი, ისიც მთავრობის მიერ დაუმტკიცებლად, ნება ჰქონდა მხოლოდ სამღთოსათვის დაეხარჯა ფული.

მოწმემ, ტფილისის გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელემ თავ. ბებუთოვმა, რომელმაც გამოიძია ეს საქმე, განუმარტა სასამართლოს, რომ აქაურის ადათით, რომელიც ჯერ ისევ მეფე ერეკლეს დროს ყოფილა მიღებული, ყველა ამქარი ჰმართავს სადილს, როდესაც შეგირდებს დალოცავენ ხოლმე. ოსტატს ამას იქით აღარ შეუძლიან შეგირდის ცემა: ეს ადათი სავალდებულოა და ამიტომ დალოცვისათვის ფულის დახარჯვა კანონიერ საქციელად უნდა ჩაითვალოს. როგორც თვით უსტაბაშს მესხს, აგრეთვე ამქარს სრულიად ვერ შეეგნოთ, რად უნდა ჩაითვალოს უკანონოდ ძველის ადათის აღსრულება. სადილის გამართვის შესახებ განაჩენი შესდგა, მაგრამ უსტაბაშს ან უნდა განესაჩივრებინა იგი, ვითარცა უკანონო, ან მისი ამბავი მთავრო-

ბისთვის ეცნობებინა. რამდენადაც მე ვიცი, ასეთს ხარჯს ყველა ამქარში ეწევიან საერთო კრების დადგენილებით და აგრეთვე უსტაბაშებსაც ამგვარად ეძლევა ჯილდო, რადგან განსაზღვრული ჯამაგირი არა აქვთ. რაც შეეხება ფულის დახარჯვას, გამოძიების შემდეგ ყოველივე ხარჯი კანონიერად ჩასთვალა ამქრის წევრთა კრებამ.

ბრალმდებლის ამხანაგი მოსეევიჩი. ჩემის აზრით, აქ წესი და ჩვეულება არაფერს შუაშია, ჩვეულებას მარტო ისტორიული ინტერესი აქვს. რადგან კანონში ნიშნობლივ არის აღნიშნული ამქრის ყოველი ხარჯი და ნათქვამია, რომ ხარჯის გაწევის ნება ამქრის წევრთა კრებამ უნდა დართოსო, უსტაბაშს, რომელიც მოვალე იყო ეზრუნა ამქრის შეძლების გაძლიერებისათვის, არ უნდა აღესრულებინა ამ კრების უკანონო განაჩენი და უეჭველად უნდა დასჯილ იქმნას უფლების გარდამეტებისათვისაო.

ვექილი ტურკევიჩი. ბრალმდებლის ამხანაგის აზრი შეცდომილად მიმაჩნია. კანონი ვერ შემოჰფარგლავს მთელს მოღვაწეობას როგორც კერძო კაცისა, ისე ამა თუ იმ თანამდებობის აღმასრულებლისას. ამიტომ ამ უკანასკნელს ხშირად ნება აქვს ხარჯი გასწიოს, თუნდა კანონსაც არა ჰქონდეს იგი წინ-დანახული, თუ ცხოვრება საჭიროდა ჰქმნის. მაგალითად, ამქრის წევრი ჰკვდება; რჩება ოჯახი, რომელსაც არავითარი საშუალება არ აქვს მიცვალებული დაჰმარხოს; იგი ამქრის უსტაბაშს დახმარებასა სთხოვს; უსტაბაშმა, კანონის თანხმად, რაოდენისამე მანეთის გულისთვის ხელოსნებს უნდა მოუწოდოს; კრება შეიძლება არც-კი შესდგეს, კანონიერი რიცხვი წევრთა თუ არ მოგროვდა, და გარდაცვლილის ოჯახი ვერავითარს შემწეობას ვერ ჰღებულობს. ასეთს შემთხვევაში კანონის სასტიკად შესრულება უკანონობაა. რაც შეეხება ჩვეულებას, რომელსაც თავ. ბებუთოვი ამოწმებს, ის მხედველობაში უნდა იქონიოს კაცმა: უსტაბაშს არ შეეძლო მისი დარღვევა, რადგან ამით იგი ამხანაგების ნდობას დაჰკარგავდა. კანონი იმ ჩვეულების შესრულების ნებას თუ არ იძლევა, აკრძალვით მაინც არ უკრძალავს.

ის ფული, რომელიც ამქრის სურვილით დაჰხარჯა მესხმა, დავთარში არ უნდა ჩაწერილიყო—მხოლოდ ეს იყო მესხის შეცდომა. დანარჩენი ხარჯი კი კრებამ შეიწყნარა. ამიტომ სრულიად არა გვაქვს საბუთი დავაბრალოთ მესხს, რომ თავისის უფლებისათვის გადაეჭარბებინოს, ეს უფლება ბოროტად მოეხმაროს.

სასამართლომ ერთის საათის თათბირის შემდეგ მესხი უდანაშაულოდ აღიარა და გაამართლა.

◆ ◆

დამაკვირდი

უქალებოდ დასაწყისი ჩვენის ცხოვრებისა დახმარებას იქმნებოდა მოკლებული, შუახანი—სიამოვნებასა და დასასრული—ნუგეშს.

ჟუი

• • •

ვერავინ ამაღლდა თვინიერ საქმით ქმნისა, მრავალნი ცხონდეს თვინიერ სიტყვით თქმისა.

ნიკოლოზ ტფილელი

• • •

ადამიანის გონება და გრძნობა იმ ცოლ-ქმარსა ჰგვანან, რომლებიც ერთმანეთს არაფერში ეთანხმებიან, მაგრამ საზოგადო აზრის მიხედვით მაინც ერთად სცხოვრობენ, ვიდრე სიკვდილი გარეს არ დაუკაკუნებს.

ბ. დ.—შვილი

◆ ◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მოსკოვის ბევრ მაღაზიების ფანჯრებს აწერია: „რენტგენის სხივების მანქანა. ფასი 5 კაპეიკი“. ადამიანი იფიქრებს, ერთ შაურად ვიყიდი მეცხრამეტე საუკუნის შესანიშნავს მანქანასაო. შევა მაღაზიაში და მოიკითხავს „რენტგენის სხივების მანქანა“-ს. ნოქარი ართმევს შაურს და აძლევს პატარა კარდონს, რომელსაც გული ამოჭრილი აქვს და ზედ დოლბანდი აქვს გადაკრული. ,,მანქანას“ ზედ აწერია: ,,მანქანა რენტგენის სხივებისა. მიბრუნდით სინათლისაკენ და დააცქერდით ამოჭრილს გულს. მეორე ხელი მოაფარე (!) და იმ წამსვე გამჭვირვალე გახდება და დაინახავთ თქვენის ხელის ძვლებს.“

დაიჭერთ ამ მანქანას, უყურებთ და ჰხედავთ მხოლოდ... რომ შაური აღარა გაქვთ ხელში.

მანქანის გამომგონს ახალს ედისონს სულ ახალი მანქანა გამოუგონია სხვის ჯიბიდგან თავისს ჯიბეში შაურიანების გადასალაგებად.

• • •

პარიჟის ერთს გაზეთში შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი ოსმალეთის ტახტის მემკვიდრის შესახებ. ოსმალეთის კანონის ძალით აბდულ ჰამიდის მემკვიდრედ ითვლება იმისი ძმა რეშადი. მაგრამ სულთანსა ჰსურს მემკვიდრეობა თავისს ძმას ჩამოართვას და თავისს შვილს გადასცეს. ამისათვის მხოლოდ შემთხვევას ელოდება. რეშადი დიდი ხანია რაც დაპატიმრებულია და მარტოდ მარტო სცხოვრობს. სულთანის ძმას არავის შეუძლიან დაელაპარაკოს, ვერც მოსამსახურეებს აირჩევს თითონ, ვერც გაზეთს წაიკითხავს, მთავრობის მოამბის გარდა. სულთანს იმედი აქვს, რომ ეხლა, როდესაც გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ეწვევა, სწორედ მარჯვე დრო იქმნება, რომ თავისს შვილს გადასცეს მემკვიდრეობა. ზემოხსენებული გაზეთი სწერს, ნუ თუ გერმანიის იმპერატორი არ მოიწადინებს სულთანის ძმისა და ტახტის მემკვიდრის ნახვას. მაგრამაო, დასძენს გაზეთი, არა გვგონია, რომ ეს მოხდეს, რადგანაც დიდი ხანია, რაც ამ მემკვიდრეს ხეირიანი ტანთსაცმელიც-კი არა აქვსო.

• • •

რუსულ გაზეთ „ნაროდში“ დაბეჭდილია საყურადღებო ამბავი მოსე ბურენინის შესახებ, რომელიც მეფურადა სცხოვრობს კონსტანტინეპოლში ფულის შემწირველთა წყალობით.

ეს ბურენინი, იმისავე მდივნის სიტყვით, უწინ სოფლის მწერალი იყო, ეხლა-კი წელიწადში სულ ცოტა 50,000 წერილი მოსდის ფულით, პასუხად თავისის თხოვნისა. ამ მწერალს ბევრს რუსეთშიაც აგენტები ჰყავს (განსაკუთრებით ოდესაში) და კონსტანტინეპოლში-კი მთელი კანცელარია აქვს გამართული. ბურენინთან მსახურობენ, მაგალითად, ცოლ-ქმარი ურიები, რომელთა მოვალეობაა წერილების კონვერტებზე ადრესების დაწერა.

მოსე ბურენინს ნიხრიც-კი დაუწესებია თურმე: წირვის დროს მოხსენება—50 კ., პარაკლისის—3 მ., მთელის წლის განმავლობაში მოხსენება—5 მ. საუკუნო მოხსენება—300 მან. და სხვ

◆ ◆

გამოსადეგი ცნობა

ია ვარდს როგორ უნდა შეარჩინოთ თავისი ბუნებური სუნი საზამთროდ. შუშის ჭურჭელს ძირი მოუფინეთ თხლად მარილითა, მოფინილ მარილზე მოურიგეთ ძალიან სუნნელოვანის ვარდის ყვავილის ფოთოლი, მერე კიდევ მარილი და მერე კიდევ ფოთოლი მინამ ჭურჭელი აივსებოდეს. რაკი ჭურჭელი აივსება, მას შემდეგ მაგრა მოაკარით პირი და შეინახეთ მშრალ, მაგრამ არა თბილ ადგილას ზამთრამდე. ზამთარში შუშას რომ პირი აჰხადოთ, მთელი ოთახი აივსება ვარდის სუნითა, თითქო ეს-ეს არის ეხლა მოწყვეტილის ვარდის სუნიაო.

◆ ◆

ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო „ანტონიოს და კლეოპატრა“, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი თავ. ივ. მაჩაბლის მიერ. ეს ტრაგედია „მოამბეში“ იბეჭდებოდა. წიგნი კარგს ქაღალდზედ არის დაბეჭდილი და ღირს ექვსი შაური.

◆ ◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 ოქტომბერი

კონსტანტინეპოლი. გემი „გოგენცოლლერნი“ დარდანელში მივიდა. აღტაცებით დაუხვდნენ.

პეტერბურგი. 5 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრი მოუსავლობით დაზარალებულს გუბერნიებში წავიდა, რათა ადგილობრივ გაიცნოს რა მდგომარეობაშია გაჭირვებულ ხალხის შემწეობის საქმე. პირველად მინისტრი ყაზანში მივა, შემდეგ სიმბირსკ და სამარას, იქიდგან—უფას წავა.

7 ოქტომბერი

ვერნი. დღის სამ საათზედ მიწა შეიძრა და თან გრგვინვის ხმა გაისმა.

პარიჟი. „Matin“-ი სწერს, რომ რადგან ხმა გაისმა, ზოლა პარიჟშია დეპუტატ რუვთანაო, მთავარ ბრალმდებელმა სასამართლოს ბოქაული გაჰგზავნა მასთან, რათა ჩაებარებინათ მისთვის განაჩენი ვერსალის ნაფიც მსაჯულთა გარდაწყვეტილებისა. გაზეთმა არ იცის, მოახერხა თუ არა ბოქაულმა ამ ვალდებულების შესრულება. „Petit Journal“-ი სწერს, რომ ვერსალის სასამართლომაც ამ გვარივე განკარგულება გასცაო.

„Gabbel“-ი იუწყება, რომ საქმის გადასინჯვის საქმე განხილულ იქმნება სისხლის სამართლის პალატაში საჯაროდ ამ კვირის დამლევსაო. მთავარ-ბრალმდებელსა, მომხსენებელსა და დრეიფუსის ოჯახის ვექილს სრული თავისუფლება ექმნებათ ბოძებული საბუთების წარდგენისაო.

აქ მობრძანდნენ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული.

კონსტანტინეპოლი. ილდიზ-კიოსკში გერმანიის იმპერატრიცა წაბრძანდა პირველის ეტლით სულთანთან ერთად; იმპერატორი დიდ ვეზირ ფუად-ფაშასთან, ერთად—მეორე ეტლით. როდესაც ამალანი ერთმანეთს მიეგებნენ საუცხოვო სასახლეში, რომელიც იმპერატორისა და იმპერატრიცას აქ მობრძანებისთვის გამოა აგებული, სულთანი დაბრუნდა თავისს სასახლეში, სადაც იმპერატორი და იმპერატრიცა მიიღო, რომელნიც სამაგიეროდ დარბაზობის გარდასახდელად ჰბრძანდებოდნენ. პირველს საათზედ საუზმე იყო გამართული გერმანიის საელჩოში.

კონსტანტინეპოლი. გარეშე საქმეთა მინისტრმა ტევფიკმა აუწყა ოთხისავე საელჩოს წარმომადგენლებს, რომ არსება თანახმა, ყოველივე პირობა დიდთა სახელმწიფოთა აღასრულოსო. მინისტრთა საბჭო ზეგ შეადგენს ოფიციალურს პასუხს პორტასას საელჩოთა მიმართ. იუწყებიან, რომ ოთხშაბათიდგან დაიწყება კრიტიდგან ოსმალეთის ჯარის გაყვანაო.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ოქტომბერი,

	მყიდველისა.	გამყიდველისა,	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	— „	$218\frac{3}{4}$
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	$96\frac{7}{8}$	— „	— „
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	100	— „	— „
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	$100\frac{1}{4}$	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	$99\frac{3}{4}$	— „	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	$295\frac{1}{2}$
5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი	— „	— „	$259\frac{1}{2}$

◆ ◆

წერილი რედაქციის მიმართ

—

ჩემ მიერ გამოცემულ წიგნაკის „ზურაბის კოშკი“-ს შემოსავლიდგან 30% შევწირე „წ. კ.საზოგადოების“ მუზეუმს და მომავალ ქართველ დედათა სასწავლებლის ფონდს. ანგარიშით თითოეულ დაწესებულებას 96 წიგნამდის ერგება. „წ. კ. საზოგადოებას“ უკვე გარდავეცი ასი ცალი ხსენებულ წიგნაკისა. ეხლა გიგზავნით იმავე წიგნაკის ასს ცალს მომავალ ქართველ დედათა სასწავლებლების დამფუძნებელ კომიტეტის თავმჯდომარის გარდასაცემად. გთხოვთ გარდასცეთ ეს მცირე შეწირულება დანიშნულებისამებრ *).

იოსებ იმედაშვილი

◆ ◆

---

*) ეს წიგნები დანიშნულებისამებრ გარდავეცით.

რედ.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **ამოდის, ნათდება!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

2) **კრილოვის არაკები,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ. (10—უ.—8).

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა

იწვევს მსურველთ, ვისაც უნდა იკისროს რკინის გზისათვის ლიანდაგის ქვეშ დასაგებ მორგვებისა და სხვა საჭირო ხე-ტყის მომზადების იჯარით აღება, რაც-კი 1899 წელს დასჭირდება, შემოიტანონ თავისი განცხადება. განცხადებათა განხილვა დანიშნულია 24 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზედ. დაწვრილებითი პირობები მსურველს შეუძლიან მოსთხოვოს მასალათა გამგე ნაწილის უფროსს. (3—ნ.—2)

ბაღლინჯოებისა და ამანოს ჭიების
მომსპობი სითხე რ. კელერისა

ისყიდება ყველგან ყველა დიდ ვაჭართან. იმ ადგილებს, სადაც ეს მწერი ჰბუდობს, წაუსვამთ თუ არა სითხეს ჩხირით, ან შეუშხაპუნებთ, მაშინვე დაჰხოცავს და ისეთ ნაირად გაანადგურებს ბუდეს და კვერცხებს, რომ დიდს ხანს ველარ მოიკიდებს იქ ფეხს ეს მწერი.

სითხე არ არის შეღებილი და არავითარს ლაქას არა სტოვებს ავეჯეულობასა და შპალიერზედ. მწერს, მაგალითად, ამანოს ჭიას, მოჰხვდება თუ არა წვეთი ამ სითხისა, მაშინვე გადაბრუნდება და ჰკვდება.

ფასი მეტად იაფია და ხელ-მისაწვდენი ყოველ მეოჯახისათვის.
(отъ клоповъ и таракановъ) (3—მ.—3)

სხივი წარსულისა

ისტორიული ამბავი, დაწერილი ყმაწვილებისა და ხალხისათვის იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ერთი შაური. წმინდა შემოსავალი ამ წიგნაკისა მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება განსაახლებლად ცხეთის ტაძრისა. ამ დღეებში წიგნაკი გაეგზავნებათ მთავარ მაღაზიებს დასავლეთს საქართველოში. (6—ნ.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 7 го Октября 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე